ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №758157

ნომერი: AR1139962

თარიღი : 18.06.2013

გაცემის თარიღი : 25.06.2013

გაცნობის თარიღი : 26.06.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ, (ნაკვეთი N3/59) / ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , ნაკვეთი 03/082 / ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , ნაკვ.03/093 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ მურღულია პ/ნ 01008007052
- ქ. თბილისი ნაფარეულის ქ. 11

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება და პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.12.003.105) ფართობი შეადგენს 8520,0 კვ.მ ხოლო კორექტირებული ესკიზის შესაბამისად, საკადასტრო ერთეულის ფართობი აღემატება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ფართობს (8544,3კვ.მ), ამასთან, დასავლეთით გამოთავისუფლებული გზის ხარჯზე მომატებული ტერიტორია ნაწილობრივ შეადგენს გრუნტის გზას, ასევე საკადასტრო ერთეულზე დატანილი სერვიტუტი წარმოდგენილი ესკიზური (კორექტირებული) ნახაზის შესაბამისად გათვალისწინებული არ არის, რაც გაურკვეველს ხდის საკადასტრო საზღვრებში აღნიშნული ვალდებულების არსებობას, ამასთან, მიმდებარე ტერიტორიაზე სამსახურის მიერ შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) პროექტი (18.01.2007 წლის #20/24), რომლის თანახმადაც უნდა განვითარდეს მოცემული ტერიტორია, ხოლო მასში რაიმე სახის ცვლილების განხორციელება, საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას ზემოაღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) პროექტში.

დამატებით გაცნობებთ, რომ გრგ–ს პროექტში ცვლილების შეტანის საკითხი იტვირთება ჩვენი სამსახურის ვებ.გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/, ელექტრონული განცხადებები > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge